ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N01

2025 წელი 16 იანვარი

ქ. ბაღდათი

11:00 საათი

2025 წლის 16 იანვარს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ნოდარ გიორგიძე გურამი კიკნაველიძე, გია სახამბერიძე, თეა გოგნაძე, ბიძინა ჯაბიძე, თორნიკე გაჩეჩილაძემ, შადიმან გორგოძე, სიმონ ჭოლოკავა, მაია კბილაშვილი, გიორგი კოტორეიშვილი, შალვა მშვილდაძე, დიომიდე კიკნაველიძე, მურად ბურჯანაძე, გვანცა გრძელიძე, გურამ ჩხეიძე, ზაზა ზივზივაძე.

სულ: 16 საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა: ჯუმბერ რობაქიძე, ნინო კვირიკაძე, ირაკლი გოგსაძე, მაკა მესხი, ირინა ტყეშელაშვილი, ვლადიმერ წიქორიძე, ზიად გუმბერიძე, ალექსანდრე ფახურიძე, იოსებ კვირიკაშვილი, ნინო ფურცელაძე, კახა კოხოძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

პრესის წარმომადგენლები

საკრებულოს აპარატი:

ნოდარ ებანოიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 16 საკრებულოს წევრმა.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა ნოდარ გიორგიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე. რომელმაც აღნიშნა რომ, რიგგარეშე სხდომა მოწვეულია ჩემი მოთხოვნით, რადგან 2024 წლის 30 დეკემბნრიდან საკრებულოს აპარატის უფროსი ჩაითვალა, როგორც ადმინისტრაციული ხელშეკრულებიღ დასაქმებული პირი, რის გამოც საკრებულოს 2025 წლის საშტატო ნუსხაში უნდა შევიდეს სათანადო ცვლილება და გავრცელდეს 2025 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე. ნ. გიორგიძემ ასევე აღნიშნა, რომ მის მიერ გამოცემულია ბრძანება რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ. მან ბიუროს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N 80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. გვანცა გრძელიძე -მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი მიღებული იქნა.

მომხრე - 16 წინააღმდეგი - 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 16 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 1. . „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N 80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
დადგენილების პროექტი შესატან ცვლილებასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს გააცნო, გვანცა გრძელიძემ -მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განხილული იქნა კომისიის სხდომაზე და მხარდაჭერილია.

მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:
დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N1 დადგენილება:დ-67.6725016001 თარიღი:16/01/2025 (დადგენილება თან ერთვის);

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 16 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 16 საკრებულოს წევრმა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე: ნოდარ გიორგიძე